სს „საქართველოს ბანკი და შვილობილი კომპანიები“
შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისი

შინაარსი

დამოუკიდებელი მიმოხილვის ანგარიში

ფინანსური მდგომარეობის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება. 1
მოგება-ზარალის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება.....2
სრული შემოსავლის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება. 3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება. .. 4
ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება 5

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა..... 7
2. მომზადების საფუძველი 8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა..... 9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 11
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ..... 14
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები..... 17
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ..... 17
8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 18
9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები.... 19
10. გადასახადები..... 34
11. სხვა აქტივები და სხვა ვალდებულებები..... 34
12. კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები..... 36
13. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე..... 37
14. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები..... 38
15. პირობითი ვალდებულებები 39
16. საკუთარი კაპიტალი..... 40
17. წმინდა საპროცენტო შემოსავალი..... 41
18. წმინდა საკომისიო შემოსავალი..... 42
19. მოსალოდნელი საკრედიტო და გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებსა და ანარიცხებზე43
20. რისკის მართვა..... 44
21. სამართლიანი ღირებულების შეფასება..... 45
22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი..... 49
23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები..... 51
24. კაპიტალის ადეკვატურობა..... 52

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 005, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

Building a better working world

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის ანგარიში

სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩავატარეთ სს „საქართველოს ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიების თანდართული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მომზადებული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის მოგება-ზარალის შემოკლებული შეუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და სრული შემოსავლის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და შერჩეული გამარტებითი შენიშვნებისგან.
ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბასს (IAS) 34-ის *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“* მიხედვით. ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვითი შემოწმების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მიმოხილვითი შემოწმების მასშტაბი

შემოწმებას წარვმართავდით მიმოხილვითი შემოწმების ჩატარების 2410-ე საერთაშორისო სტანდარტის *“საწარმოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვითი შემოწმება“* შესაბამისად. შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება ძირითადად გულისხმობს საფინანსო და ბუღალტრულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვას და ანალიტიკური თუ სხვა მიმოხილვითი პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვითი შემოწმება თავისი მასშტაბით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებაზე გაცილებით უფრო მცირეა და ამიტომ იგი არ გვაძლევს საშუალებას, მოვიპოვოთ იმის რწმუნება, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა ის არსებითი საკითხი, რომლებიც აუდიტის პროცესში ვლინდება ხოლმე. შესაბამისად, აუდიტორულ მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 005, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

Building a better working world

დასკვნა

მიმოხილვითი შემოწმების პროცესში არ აღმოგვიჩენია მიზეზები, რომლებიც, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, თანდართული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ბასს 34-ის, *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“*, შესაბამისად მომზადებაში ეჭვის შეტანის საფუძველს მოგვცემდა.

რუსლან ხოროშვილი
შპს „იუაის“ სახელით

2022 წლის 29 აგვისტო

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის ანგარიში

სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩავატარეთ სს „საქართველოს ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიების თანდართული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მომზადებული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის მოგება-ზარალის შემოკლებული შეუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და სრული შემოსავლის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და შერჩეული გამარტებითი შენიშვნებისგან.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბასს (IAS) 34-ის *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“* მიხედვით. ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვითი შემოწმების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მიმოხილვითი შემოწმების მასშტაბი

შემოწმებას წარვმართავდით მიმოხილვითი შემოწმების ჩატარების 2410-ე საერთაშორისო სტანდარტის *“საწარმოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვითი შემოწმება“* შესაბამისად. შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება ძირითადად გულისხმობს საფინანსო და ბუღალტრულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვას და ანალიტიკური თუ სხვა მიმოხილვითი პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვითი შემოწმება თავისი მასშტაბით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებაზე გაცილებით უფრო მცირეა და ამიტომ იგი არ გვაძლევს საშუალებას, მოვიპოვოთ იმის რწმუნება, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა ის არსებითი საკითხი, რომლებიც აუდიტის პროცესში ვლინდება ხოლმე. შესაბამისად, აუდიტორულ მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

Building a better working world

დასკვნა

მიმოხილვითი შემოწმების პროცესში არ აღმოგვიჩენია მიზეზები, რომლებიც, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, თანდართული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ბასს 34-ის, *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“*, შესაბამისად მომზადებაში ეჭვის შეტანის საფუძველს მოგვცემდა.



რუსლან ხოროშვილი
შპს „იუაის“ სახელით

2022 წლის 29 აგვისტო

ფინანსური მდგომარეობის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	2,762,427	1,494,452
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	1,751,791	1,917,939
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	3,195,007	2,563,961
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	9	16,269,360	15,998,166
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები		17,947	23,432
გადახდილი ავანსები		65,240	58,160
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5,414	6,243
აქტივის გამოყენების უფლება		85,078	77,676
საინვესტიციო ქონება		193,173	231,707
ძირითადი საშუალებები		352,245	343,025
გუდვილი		33,453	33,453
არამატერიალური აქტივები		126,125	124,775
მოგების გადასახადი აქტივები	10	816	292
სხვა აქტივები	11	345,054	241,200
გასაყიდად გამიზნული აქტივები		43,137	46,731
სულ აქტივები		**25,246,267**	**23,161,212**
ვალდებულებები			
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	12	15,169,232	14,081,438
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	13	4,926,836	4,118,462
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	14	1,305,584	1,460,479
საიჯარო ვალდებულებები		89,416	85,098
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი		76,019	76,600
მოგების გადასახადის ვალდებულებები	10	50,420	110,868
სხვა ვალდებულებები	11	325,451	177,044
სულ ვალდებულებები		**21,942,958**	**20,109,989**
საკუთარი კაპიტალი	16		
სააქციო კაპიტალი		27,994	27,994
დამატებით შეტანილი კაპიტალი		172,215	180,969
გამოსყიდული აქციები		(10)	(10)
სხვა რეზერვები		(68,205)	(24,070)
გაუნაწილებელი მოგება		3,171,315	2,866,340
სულ საკუთარი კაპიტალი		**3,303,309**	**3,051,223**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**25,246,267**	**23,161,212**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე — გენერალური დირექტორი

სულხან გვალია — ფინანსური დირექტორი

მელ კარვილი — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

29 აგვისტო, 2022 წ.

7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	2,762,427	1,494,452
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	1,751,791	1,917,939
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	3,195,007	2,563,961
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	9	16,269,360	15,998,166
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები		17,947	23,432
გადახდილი ავანსები		65,240	58,160
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5,414	6,243
აქტივის გამოყენების უფლება		85,078	77,676
საინვესტიციო ქონება		193,173	231,707
ძირითადი საშუალებები		352,245	343,025
გუდვილი		33,453	33,453
არამატერიალური აქტივები		126,125	124,775
მოგების გადასახადი აქტივები	10	816	292
სხვა აქტივები	11	345,054	241,200
გასაყიდად გამიზნული აქტივები		43,137	46,731
სულ აქტივები		**25,246,267**	**23,161,212**
ვალდებულებები			
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	12	15,169,232	14,081,438
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	13	4,926,836	4,118,462
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	14	1,305,584	1,460,479
საიჯარო ვალდებულებები		89,416	85,098
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი		76,019	76,600
მოგების გადასახადის ვალდებულებები	10	50,420	110,868
სხვა ვალდებულებები	11	325,451	177,044
სულ ვალდებულებები		**21,942,958**	**20,109,989**
საკუთარი კაპიტალი	16		
საარქიო კაპიტალი		27,994	27,994
დამატებით შეტანილი კაპიტალი		172,215	180,969
გამოსყიდული აქციები		(10)	(10)
სხვა რეზერვები		(68,205)	(24,070)
გაუნაწილებელი მოგება		3,171,315	2,866,340
სულ საკუთარი კაპიტალი		**3,303,309**	**3,051,223**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**25,246,267**	**23,161,212**

ხელმოწერილია და წებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე — გენერალური დირექტორი

სულხან გვალია — ფინანსური დირექტორი

მელ კარვილი — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

29 აგვისტო, 2022 წ.

7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული	
		2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)	*2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი		1,054,056	848,684
სხვა საპროცენტო შემოსავალი		11,405	14,143
საპროცენტო შემოსავალი		**1,065,461**	**862,827**
საპროცენტო ხარჯი		(509,999)	(421,558)
ანაბრის დაზღვევის საკომისიო		(8,301)	(7,163)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	17	**547,161**	**434,106**
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		237,468	168,949
საკომისიო ხარჯი		(121,341)	(78,361)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო, წმინდა	18	**116,127**	**90,588**
წმინდა სავალუტო შემოსულობა		188,823	40,505
წმინდა სხვა შემოსავალი		5,269	49,583
საოპერაციო შემოსავალი		**857,380**	**614,782**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(158,132)	(115,896)
ადმინისტრაციული ხარჯები		(65,467)	(48,604)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		(46,060)	(40,415)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,411)	(1,588)
საოპერაციო დანახარჯები		**(272,070)**	**(206,503)**
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან		376	(4,132)
საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე		**585,686**	**404,147**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე	19	(54,317)	(4,247)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე	19	(2,180)	(1,614)
სხვა მოსალოდნელი საკრედიტო (ზარალი) / ამოღება	19	(5,204)	11,733
სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვის ხარჯი და		(5,189)	(5,053)
რისკის ღირებულება		**(66,890)**	**819**
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე		**518,796**	**404,966**
წმინდა არარეგულარული მუხლები		(29)	(417)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		**518,767**	**404,549**
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)	10	(57,604)	(34,077)
პერიოდის მოგება		**461,163**	**370,472**
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	16	16.4796	13.2388

7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული	
		2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)	*2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)*
პერიოდის მოგება		**461,163**	**370,472**
სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი			
სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი, რომელიც შემდეგ პერიოდში რეკლასიფიცირდება მოგების ან ზარალის მუხლში:			
– სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	8	(40,615)	(32,493)
– რეალიზებული შემოსულობა ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(330)	(25,338)
– ცვლილება იმ სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და რეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში		3,006	(1,134)
– ზარალი საკურსო სხვაობებიდან		(16,950)	(2,738)
წმინდა სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება		**(54,889)**	**(61,703)**
სხვა სრული შემოსავალი (ზარალი), რომლის შემდეგ პერიოდზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება:			
– წმინდა შემოსავა (ზარალი) ინვესტიციებიდან წილობრივ ინსტრუმენტებში, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(369)	1,185
წმინდა სხვა სრული შემოსავალი (ზარალი), რომლის რეკლასიფიცირება არ ხდება მომდევნო პერიოდების მოგება-ზარალში		**(369)**	**1,185**
სხვა სრული შემოსავალი (ზარალი) პერიოდის განმავლობაში, გადასახადის გარეშე		**(55,258)**	**(60,518)**
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		**405,905**	**309,954**

7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	*დამატებით შეტანილი კაპიტალი*	*გამოსყიდული აქციები*	*სხვა რეზერვები*	*გაუნაწილებელი მოგება*	*სულ კაპიტალი*
2020 წლის 31 დეკემბერი	**27,994**	**216,974**	**(10)**	**47,997**	**2,195,345**	**2,488,300**
2021 წლის 31 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მოგება (არააუდიტირებული)	-	-	-	-	370,472	370,472
2021 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთივანი პერიოდის სხვა სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)	-	-	-	(59,794)	(724)	(60,518)
2021 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)	**-**	**-**	**-**	**(59,794)**	**369,748**	**309,954**
საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდებით	-	21,678	-	-	-	21,678
შენატანები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდების პროგრამის ფარგლებში	-	(39,262)	-	-	-	(39,262)
2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)	**27,994**	**199,390**	**(10)**	**(11,797)**	**2,565,093**	**2,780,670**
2021 წლის 31 დეკემბერი	**27,994**	**180,969**	**(10)**	**(24,070)**	**2,866,340**	**3,051,223**
2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მოგება (არააუდიტირებული)	-	-	-	-	461,163	461,163
2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის სხვა სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)	-	-	-	(44,135)	(11,123)	(55,258)
2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)	**-**	**-**	**-**	**(44,135)**	**450,040**	**405,905**
საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდებით	-	47,680	-	-	-	47,680
ბანკის აქციონერებზე გაცემული დივიდენდები (შენიშვნა 16)	-	-	-	-	(145,065)	(145,065)
შენატანები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდების პროგრამის ფარგლებში	-	(56,434)	-	-	-	(56,434)
2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)	**27,994**	**172,215**	**(10)**	**(68,205)**	**3,171,315**	**3,303,309**

7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული	
		2022 წლის 30 ივნისი (არაუდიტირებული)	2021 წლის 30 ივნისი (არაუდიტირებული)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		1,021,873	874,550
გადახდილი პროცენტი		(502,728)	(424,814)
მიღებული საკომისიო		219,821	168,984
გადახდილი საკომისიო		(121,341)	(78,361)
წმინდა ფულადი ნაკადები უძრავი ქონებიდან		9,115	17,650
წმინდა რეალიზებული შემოსულობა უცხოური ვალუტებიდან		192,889	56,957
მომხმარებლებზე გაცემული ჩამოწერილი სესხების ამოღება		55,307	33,250
სხვა მიღებული შემოსავალი (გადახდილი ხარჯი)		1,594	1,480
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(110,452)	(94,218)
გადახდილი ზოგადი, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები		(67,996)	(57,290)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**698,082**	**498,188**
საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა) კლება			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		65,273	(91,871)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		(1,057,475)	(1,040,882)
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		(35,233)	(1,715)
საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა (კლება)			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		749,622	(15,925)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		50,300	(42,375)
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები		1,612,570	241,662
სხვა ვალდებულებები		32,971	5,697
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**2,116,110**	**(447,221)**
მოგების გადახდილი გადასახადი		(118,612)	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**1,997,498**	**(447,221)**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა (შესყიდვა), წმინდა		(654,630)	357,612
შემოსულობა საინვესტიციო ქონების და გასაყიდად გამიზნული აქტივების გაყიდვიდან		40,099	61,150
შემოსავალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან		7,575	142
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(61,864)	(48,377)
მიღებული დივიდენდები		-	401
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**(668,820)**	**370,928**

7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული	
		2022 წლის 30 ივნისი (არაუდიტირებული)	2021 წლის 30 ივნისი (არაუდიტირებული)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა		(99,148)	(19,625)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ძირითადი ნაწილის დაფარვა		(31,397)	(15,614)
ამონაგები დამატებითი პირველადი კაპიტალიდან		148,120	-
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები		(8,570)	(14,492)
შეწატანები წილობრივი გადახდის პროგრამის ფარგლებში		(56,434)	(60,205)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(47,429)**	**(109,936)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(13,230)	(92,790)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(44)	15
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		**1,267,975**	**(279,004)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	6	**1,494,452**	**1,983,188**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	6	**2,762,427**	**1,704,184**

7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „საქართველოს ბანკი“ 1994 წლის 21 ოქტომბერს დაარსდა როგორც სააქციო საზოგადოება („სს“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“ ან „საქართველოს ცენტრალური ბანკი“) მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ და აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს. ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ბანკის 212 ფილიალი მოქმედებს (2021 წლის 31 დეკემბერი: 211). ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29. ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერია 204378869.

ბანკი და მისი დანარჩენი შვილობილი კომპანიები, ძირითადად, საქართველოსა და ბელარუსში დაფუძნებული კომპანიების ჯგუფია (შემდგომში „ჯგუფი“). მათი ძირითადი საქმიანობაა საბანკო მომსახურების გაწევა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის. ეს

ბანკი არის ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ერთეული და მასზე მოდის ჯგუფის საქმიანობის დიდი წილი.

2022 წლის 30 ივნისისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ბიჯეო ჯგუფი“ („სს „ბიჯეო“) ბანკის მთავარი აქციონერი იყო:

	შემდეგი თარიღის მდგომარეობით	
აქციონერი	*2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)*	*2021 წლის 31 დეკემბერი*
სს „ბიჯეო ჯგუფი“	79.78%	79.78%
საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“	19.78%	19.78%
სხვა*	0.44%	0.44%
სულ	**100.00%**	**100.00%**

* საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული აქციები

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი („ბასს“) 34-ის „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ შესაბამისად.

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს გაცხადებულ შემოსავალსა და ხარჯზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის საუკეთესო განსჯას შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფაქტობრივი შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

დაშვებები და მნიშვნელოვანი შეფასებები, გარდა იმ დაშვებებისა და შეფასებებისა, რომლებიც გაცხადებულია შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, შეესაბამება იმ დაშვებებსა და შეფასებებს, რომელთა მიხედვითაც ჯგუფმა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა.

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულად არ მოიცავს იმ ინფორმაციას და განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის მოითხოვება, ამიტომ ის ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად უნდა იქნეს წაკითხული, რომელიც ხელმოწერილი და გამოსაშვებად დამტკიცებულია 2022 წლის 14 აპრილს.

ეს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“), თითო აქციის ღირებულებების გარდა, რომლებიც წარმოდგენილია ქართულ ლარში, და თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული; ჩაუტარდა მიმოხილვითი შემოწმება აუდიტორების მიერ და მათი მოსაზრება შეტანილია წინამდებარე ანგარიშში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ბანკის დირექტორთა საბჭომ შეაფასა, ჯგუფს შესწევს თუ არა უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და მიიაჩნია, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას ისეთი არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენებდა ჯგუფის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ განჭვრეტად მომავალში. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

ამ შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და გამოთვლის მეთოდები შეესაბამება იმ პოლიტიკასა და მეთოდებს, რომლებიც გაცხადებულია ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2022 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ცვლილებები

შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“

ცვლილებები განაახლებს კონცეპტუალური საფუძვლების მოძველებულ მითითებას ფასს 3-ში ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს, როგორც ეს ქვემოთ არის შეჯამებული:

- ფასს 3-ის განახლება ისე, რომ იგი მიუთითებდეს 2018 წლის კონცეპტუალურ საფუძვლებს, და არა 1989 წლის საფუძვლებს;
- ფასს 3-ისთვის მოთხოვნის დამატება, რომ ბასს 37-ის და ფასიკ 21-ის ფარგლებში შემდგარი გარიგებების და სხვა მოვლენების შემთხვევაში შემძენმა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21 (კონცეპტუალური საფუძვლების მაგივრად), რათა განსაზღვროს საწარმოთა გაერთიანებისას მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები; და
- ფასს 3-ისთვის მკაფიო განაცხადის დამატება, რომ შემძენი არ აღიარებს საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილ პირობით აქტივებს.

ამ ცვლილებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს (IAS) 37-ში „წამგებიანი კონტრაქტები – კონტრაქტის შესრულების ხარჯები“

ცვლილებები აზუსტებს, რომ „ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ მოიცავს „დანახარჯებს, რომლები პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულებას“. დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულებას შეიძლება იყოს ან ხელშეკრულების შესრულების ნაზარდი დანახარჯები (ამის მაგალითია პირდაპირი შრომითი ხარჯი, მასალის ხარჯი) ან სხვა დანახარჯების განაწილება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შესრულებას (ამის მაგალითია ცვეთის დანარიცხის გადანაწილება ძირითადი საშუალებების ერთეულზე, რომელიც გამოიყენება ხელშეკრულების შესრულებისას).

ამ ცვლილებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება – 2018-2020 წ.წ.

ფასს 1 – ცვლილება შვილობილ საწარმოს, რომელიც იყენებს ფასს 1-ის დ16(ა) მუხლს, უფლებას აძლევს, კუმულაციური საკურსო სხვაობა შეაფასოს მშობელი კომპანიის მიერ გაცხადებული თანხებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის მიხედვით.

ფასს 9 – ცვლილება განმარტავს, რომელი საკომისიოები უნდა გაითვალისწინოს საწარმომ, როდესაც იყენებს „10 პროცენტის“ ტესტს ფასს 9-ის ბ3.3.6 მუხლში იმის შესაფასებლად შეწყვიტოს თუ არა ფინანსური ვალდებულების აღიარება. ამ საკომისიოებში საწარმოს შეაქვს მხოლოდ საწარმოს (მსესხებელს) და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც საწარმომ ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს-ის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება – 2018-2020 წ.წ. (გაგრძელება)

ფასს 16 – ფასს 15-ზე დართულ მე-13 საილუსტრაციო მაგალითში შესული ცვლილების შედეგად, მაგალითი აღარ შეიცავს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ანაზღაურების ილუსტრაციას, რათა აღიკვეთოს პოტენციური გაუგებრობა საიჯარო შეღავათების აღრიცხვასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება წარმოიშვას იმის გამო, თუ როგორ არის საიჯარო შეღავათები ილუსტრირებული ამ მაგალითში.
ამ ცვლილებებს არანაირი არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება – დასაკუთრებული აქტივები (მიწა და შენობა-ნაგებობები)

დასაკუთრებული აქტივები წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ჯგუფმა მოიპოვა დეფოლტის სიტუაციაში არსებული სესხების ამოღებით. ყველა დასაკუთრებული მიწა და შენობა-ნაგებობა თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული იყო, როგორც საინვესტიციო ქონება, იმ პირობით, რომ ისინი იმართებოდა კაპიტალის ღირებულების ზრდის ან საიჯარო შემოსავლის მიღების მიზნით. 2022 წლიდან მოყოლებული, ჯგუფმა განაახლა თავისი ქონების მართვის სტრატეგია და გადაწყვიტა, ასეთი ქონების რეალიზაციის უმეტესი ნაწილი უფრო სწრაფი ტემპით მოეხდინა. შესაბამისად, ყველა დასაკუთრებული უზრუნველყოფა, მათ შორის მიწა და შენობა-ნაგებობები, ახლა კლასიფიცირებულია, ან როგორც საინვესტიციო ქონება, ან დასაკუთრებული აქტივები, იმისდა მიხედვით, თუ რა არის ჯგუფის განზრახვა ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით.

დასაკუთრებული აქტივები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა მიღებად ღირებულებას შორის უმცირესით და ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება სხვა აქტივებში.
სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში ცვლილება ძალაში შევიდა პერსპექტიულად 2022 წლის 1 იანვრიდან. ამის შედეგად, 2022 წლის განმავლობაში დასაკუთრებული 45.4 მილიონი ლარის აქტივები 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კლასიფიცირდა სხვა აქტივებად.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ფულადი სახით

2022 წელს ჯგუფმა დანერგა ანაზღაურების ახალი პოლიტიკა დირექტორთა საბჭო და მატერიალური რისკის ამღები (MRT) ძირითადი თანამშრომლებისთვის. ახალი პოლიტიკის მიხედვით, ანაზღაურების ფიქსირებული კომპონენტის ნაწილი გამოიხატება ფულადი სახით ხელშეკრულების თარიღისთვის და გადაიხდება აქციების იმ რაოდენობის გადაცემით, რომელიც გადაცემის თარიღისთვის ეკვივალენტურია ფიქსირებული ფულადი ღირებულებისა. ასეთ აქციებზე უფლების გადაცემა ხდება დაუყოვნებლივ, გადაცემის წლის შემდეგ და ექვემდებარება შენარჩუნების/ფლობის 4 წლამდე ვადას. გენერალური დირექტორის შემთხვევაში, აქციების სახით გადახდილი ანაზღაურება განისაზღვრება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებისა და მატერიალური რისკის ამღები პირების შემთხვევაში ანაზღაურება განისაზღვრება ყოველწლიურად. ანაზღაურების ცვალებად ნაწილს რაც შეეხება, იგი გაიცემა ყოველწლიურად ნულოვანი დანახარჯის მქონე ოფციონის სახით საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ აქციებზე და ასევე ფულადი სახით არის ფიქსირებული. ასეთი აქციების გადაცემა ექვემდებარება უფლების გადაცემას და შენარჩუნების/ფლობის ვადას. ფულადი სახით გამოხატული აქციების გადაცემა აღირიცხება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებები და ფასდება მათი ფულადი ღირებულების მიხედვით (გადაცემის დროისთვის), რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება ფულის დროითი ღირებულების შესაბამისად. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, დამატებით შეტანილი კაპიტალის ფარგლებში საკუთარი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“).

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ჯგუფის დირექტორთა საბჭო და ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას იყენებენ თავიანთ შეხედულებებსა და შეფასებებს. ქვემოთ შეჯამებულია მთავარი შეფასებები და მოსაზრებები.

ხელმძღვანელობის დაშვებები ცვლილებებზე და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიის დახვეწა

წინა პერიოდებში, კოვიდ-19-ის პანდემიის უპრეცედენტო ხასიათისა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გამო, ჯგუფმა გამოიყენა ხელმძღვანელობის დაშვებები ცვლილებებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის არსებულ მეთოდოლოგიასთან მიმართებით. ეს დაშვებები უკავშირდება კოვიდ-19-ის გამო რესტრუქტურიზებული სესხების ეტაპებს და ასევე დეფოლტის აღმოფხვრისა და სესხების ამოღების მაჩვენებლებს. თუ გონივრული ვადაა გასული იმისათვის, რომ სტატისტიკამ სათანადოდ ასახოს კოვიდ-19-ის ეფექტები, ჯგუფმა გადაწყვიტა, გააუქმოს შესაბამისი ხელმძღვანელობის დაშვებები ცვლილებებზე, რაც დადებითად აისახებოდა ჯგუფის საერთო მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ თავიდან შეაფასა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის ვადა დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გამოსათვლელად, რის შედეგადაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზარდა. ამან, ცვლილებებზე ხელმძღვანელობის დაშვებების გაუქმებასთან და მეთოდოლოგიაში სხვა მცირედ გაუმჯობესებებთან ერთად, განაპირობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 21.4 მილიონი ლარით შემცირება ჯგუფისთვის.

საპროგნოზო ინფორმაცია

საპროგნოზო ცვლადების დაშვებები

იმისათვის, რომ ჯგუფმა საკრედიტო ზარალის რეზერვში ასახოს საპროგნოზო ინფორმაცია, იგი იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს საქართველოში მოქმედი შვილობილი კომპანიებისთვის, ხოლო ბელარუსის ეროვნული ბანკი იყენებს ბელარუსში მოქმედი არასამთავრობო კვლევითი ცენტრისგან მიღებულ ინფორმაციას. მაკროეკონომიკური ცვლადები, რომლებსაც ეს პროგნოზები შეიცავს და რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში, მოიცავს: მშპ-ის ზრდა, სავალუტო კურსი და ინფლაციის ტემპი.

ქვემოთ წარმოდგენილია 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით თითოეული გეოგრაფიული სეგმენტისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული პერიოდის ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანი დაშვებები. ყველა პორტფელისთვის გამოყენებულია „საბაზო“, „ოპტიმისტური“ და „პესიმისტური“ სცენარები.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საპროგნოზო ცვლადების დაშვებები (გაგრძელება)
საქართველო

მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	მინიჭებული წონა	2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით			მინიჭებული წონა	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
			2021	2022	2023		2021	2022	2023
მშპ-ის პროცენტული ზრდა									
	ოპტიმისტური	25%	6.00%	5.50%	5.00%	25%	6.00%	5.00%	4.50%
	საბაზისო	50%	4.50%	5.00%	5.50%	50%	5.00%	4.00%	4.50%
	პესიმისტური	25%	3.00%	4.00%	5.50%	25%	2.00%	4.00%	5.00%
ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსი									
	ოპტიმისტური	25%	3.00%	2.00%	0.00%	25%	4.00%	2.00%	2.00%
	საბაზისო	50%	0.00%	0.00%	0.00%	50%	0.00%	0.00%	0.00%
	პესიმისტური	25%	-10.00%	-3.00%	5.00%	25%	-10.00%	2.00%	3.00%
სფი ინფლაციის ტემპი %									
	ოპტიმისტური	25%	9.00%	3.00%	3.00%	25%	5.50%	3.00%	3.00%
	საბაზისო	50%	9.50%	3.00%	2.50%	50%	7.00%	2.50%	3.00%
	პესიმისტური	25%	11.00%	5.50%	3.00%	25%	8.00%	4.00%	3.00%

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ეყრდნობა სებ-ის მაკროეკონომიკურ პროგნოზებს 2022 წლის ივნისის მდგომარეობით.

ბელარუსი

მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის	მინიჭებული წონა	2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით				მინიჭებული წონა	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
			2022Q3	2022Q4	2023Q1	2023Q2		2022Q1	2022Q2	2022Q3	2022Q4
მშპ-ის პროცენტული ზრდა											
	ოპტიმისტური	10%	-7.28%	-6.72%	-5.82%	3.03%	25%	1.57%	1.38%	3.49%	5.25%
	საბაზისო	50%	-8.59%	-8.81%	-8.51%	-0.57%	50%	0.22%	-0.63%	0.77%	1.88%
	პესიმისტური	40%	-9.90%	-10.90%	-11.20%	-4.18%	25%	-1.13%	-2.64%	-1.95%	-1.49%
ბელარუსული რუბლი/აშშ დოლარის სავალუტო კურსი, %											
	ოპტიმისტური	10%	2.40%	1.56%	2.31%	1.83%	25%	0.53%	0.21%	0.42%	1.06%
	საბაზისო	50%	4.91%	4.32%	3.79%	2.56%	50%	3.84%	2.14%	1.90%	1.87%
	პესიმისტური	40%	7.14%	6.67%	5.00%	3.13%	25%	6.79%	3.94%	2.93%	2.51%
სფი ინფლაციის ტემპი %											
	ოპტიმისტური	10%	15.21%	13.58%	9.70%	-0.04%	25%	1.31%	-0.03%	-0.90%	-0.66%
	საბაზისო	50%	18.81%	18.78%	16.50%	8.25%	50%	3.14%	1.74%	0.74%	1.70%
	პესიმისტური	40%	22.41%	23.98%	23.30%	16.55%	25%	4.91%	3.40%	2.23%	3.97%

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ეყრდნობა 2022 წლის ივნისის მდგომარეობით გამოქვეყნებულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს.

ყველა სხვა პარამეტრი თუ უცვლელი დარჩება, მშპ-ის ზრდა, ადგილობრივი ვალუტის გამყარება და ინფლაციის ტემპის შემცირება გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას, ხოლო ამის საპირისპირო ცვლილებები გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას. მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საპროგნოზო ცვლადების დაშვებები (გაგრძელება)

მას მოჰყვება სავალუტო კურსი და ინფლაცია. საცალო პორტფელზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ნაკლებად მოქმედებს სავალუტო კურსი, რადგან დიდი წილი ლარში გამოხატულ დავალიანებაზე მოდის. თუმცა, საცალო პორტფელიდან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მოქმედებს ინფლაცია, რომელსაც საწარმოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს.

ცხრილში ნაჩვენებია აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხების მგრძნობელობა ამ მოდელში გამოყენებული საპროგნოზო დაშვებების მიმართ. ამ მიზნით, თითოეულ მაკროეკონომიკურ სცენარს ინდივიდუალურად 100%-იანი წონა მიენიჭა და გადაანგარიშდა შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძნობელობა საპროგნოზო დაშვებების მიმართ

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები	*გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*	*გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა*	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა სცენარების მიხედვით*		
			ოპტიმისტური	*საბაზისო*	*პესიმისტური*
კომერციული სესხები	150,941	2.90%	2.75%	2.87%	3.00%
იპოთეკური სესხები	38,290	0.95%	0.94%	0.95%	0.97%
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	75,163	1.92%	1.86%	1.91%	1.98%
სამომხმარებლო სესხები	150,698	4.62%	4.52%	4.59%	4.72%
სალომბარდო სესხები	2,998	1.74%	1.74%	1.74%	1.74%

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები	*გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*	*გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა*	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა სცენარების მიხედვით*		
			ოპტიმისტური	*საბაზისო*	*პესიმისტური*
კომერციული სესხები	156,237	2.90%	2.89%	2.90%	2.93%
იპოთეკური სესხები	33,036	0.82%	0.80%	0.81%	0.85%
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	74,441	1.99%	1.93%	1.96%	2.13%
სამომხმარებლო სესხები	136,035	4.56%	4.46%	4.54%	4.70%
სალომბარდო სესხები	2,074	1.25%	1.25%	1.25%	1.26%

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება (21-ე შენიშვნა).

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საპროგნოზო ცვლადების დაშვებები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფი თავის საინვესტიციო ქონებას საკმარისი სიხშირით აფასებს, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. საინვესტიციო ქონების შეფასების ბოლო თარიღი იყო 2020 წლის 31 დეკემბერი.

იმის დასადგენად, უძრავი ქონების ბაზარზე მოხდა თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილება ბოლო შეფასების თარიღიდან, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ საინვესტიციო ქონება არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფმა უძრავი ქონების ბაზრის საკვლევად დამოუკიდებელი შემფასებელი დაიქირავა. კვლევის შედეგებმა გამოავლინა უძრავი ქონების ფასების აღმავალი ტენდენცია აშშ დოლარში, რაც დააბალანსა აშშ დოლარის მიმართ ლარის გამყარებამ. ამის შედეგად, 2020 წლის ბოლოდან უძრავი ქონების ბაზარზე ლარში ეკვივალენტური ფასის არსებითი ცვლილება არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, გადაფასება საანგარიშგებო თარიღისთვის არ მომხდარა.

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

ჯგუფი ახდენს შემოსავლის დეზაგრეგირებას მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან თითოეული სეგმენტის პროდუქტების და მომსახურებების მიხედვით, რადგან ჯგუფს მიაჩნია, რომ ამ გზით ყველაზე ნათლად ასახავს იმას, თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები შემოსავლებისა და ფულადი ნაკადების ხასიათზე, ოდენობაზე, დროულობასა და გაურკვევლობაზე.

მართვის მიზნებისათვის ჯგუფი დაყოფილია შემდეგ საოპერაციო სეგმენტებად პროდუქტებისა და მომსახურების მიხედვით:

- საცალო საბანკო მომსახურება (ბელარუსის ეროვნული ბანკის საცალო საბანკო მომსახურების გამოკლებით) - ძირითადად გულისხმობს სამომხმარებლო, იპოთეკური სესხების, ოვერდრაფტების, საკრედიტო ბარათების და სხვა საკრედიტო პროდუქტების გაცემას, ფულადი გზავნილების და ანგარიშსწორების მომსახურებას, იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბრების მართვას. საცალო საბანკო მომსახურების მიმართულება კონცენტრირებულია მზარდ საცალო, მასობრივ საცალო და მასობრივ შეძლებულ სეგმენტებზე, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან და მიკრობიზნესებთან ერთად.
- კორპორაციული / საინვესტიციო ბანკინგი - მოიცავს კორპორატიულ საბანკო მომსახურებას და ინვესტიციის მართვის ოპერაციებს საქართველოში. კორპორატიული საბანკო მომსახურება ძირითადად გულისხმობს სესხებისა და სხვა საკრედიტო პროდუქტების გაცემას, ფულად გზავნილებსა და ანგარიშსწორების მომსახურებას, დოკუმენტური ოპერაციების მხარდაჭერას და კორპორატიული მომხმარებლებისთვის შემნახველი და ვადიანი ანაბრების მართვას; ინვესტიციის მართვის ბიზნესი, ძირითადად, გულისხმობს კერძო საბანკო მომსახურების გაწევას შეძლებული კლიენტებისთვის და საბროკერო მომსახურებას „გალტ ენდ თაგარტის“ მეშვეობით.
- „ბელარუსის ეროვნული ბანკი“ - ძირითადად ნიშნავს სს „ბელარუსკი ნაროდნი ბანკს“, რომელიც ძირითადად საცალო და კორპორაციულ საბანკო მომსახურებას სწევს ბელარუსში.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს თავისი სეგმენტების საოპერაციო შედეგებს ცალ-ცალკე, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები რესურსების განაწილებასა და შესრულებული საქმიანობის შეფასებაზე. სეგმენტის საქმიანობა, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია განმარტებული, ისევე ფასდება, როგორც მოგება ან ზარალი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

საოპერაციო სეგმენტებს შორის გარიგებები ხდება გაშლილი ხელის პრინციპით, ანუ მესამე პირებთან შემდგარი გარიგებების მსგავსად.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული, ბელარუსის ეროვნული ბანკის გარდა, რომელიც ბელარუსში საქმიანობს.

2021 წელსა და 2020 წლის 6 თვის განმავლობაში არცერთ გარე მომხმარებელთან ან კონტრაჰენტთან დადებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავალი არ შეადგენდა ჯგუფის საოპერაციო შემოსავლის 10%-ს ან მეტს.

ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია ჯგუფის საოპერაციო სეგმენტების თაობაზე 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის:

	საცალო საბანკო საქმიანობა	*კორპორატიული საინვესტიციო საბანკო საქმიანობა*	*ბელარუსის ეროვნული ბანკი*	*გაქვითვები*	*სულ ჯგუფი*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	353,897	172,120	21,098	46	547,161
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	90,387	21,844	3,896	-	116,127
წმინდა სავალუტო შემოსულობა	109,267	47,022	32,534	-	188,823
წმინდა სხვა შემოსავალი	2,036	5,042	(1,809)	-	5,269
საოპერაციო შემოსავალი	**555,587**	**246,028**	**55,719**	**46**	**857,380**
საოპერაციო დანახარჯები	(202,523)	(44,664)	(24,837)	(46)	(272,070)
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	376	-	-	-	376
წმინდა საოპერაციო შემოსავალი რისკის ღირებულების განსაზღვრამდე	**353,440**	**201,364**	**30,882**	**-**	**585,686**
რისკის ღირებულება	(84,871)	42,143	(24,162)	-	(66,890)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე	**268,569**	**243,507**	**6,720**	**-**	**518,796**
წმინდა არარეგულარული ხარჯი/ზარალი	-	-	(29)	-	(29)
დასაბეგრი მოგება	**268,569**	**243,507**	**6,691**	**-**	**518,767**
მოგების გადასახადის ხარჯი	(29,553)	(26,764)	(1,287)	-	(57,604)
პერიოდის მოგება	**239,016**	**216,743**	**5,404**	**-**	**461,163**
აქტივები და ვალდებულებები					
სულ აქტივები	16,714,251	7,573,789	985,687	(27,460)	25,246,267
სულ ვალდებულებები	14,794,776	6,305,397	870,245	(27,460)	21,942,958
სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ					
ძირითადი საშუალებები	45,637	1,240	727	-	47,604
არამატერიალური აქტივები	12,889	834	2,081	-	15,804
კაპიტალური დანახარჯები	**58,526**	**2,074**	**2,808**	**-**	**63,408**
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	(41,356)	(2,088)	(2,616)	-	(46,060)

(ათას ლარში)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია ჯგუფის საოპერაციო სეგმენტების შესახებ 2021 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის და გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საცალო საბანკო საქმიანობა	*კორპორატიული საინვესტიციო საბანკო*	*ბელარუსის ეროვნული ბანკი*	*გაქვითვები*	*სულ ჯგუფი*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	274,092	141,904	18,099	11	434,106
წმინდა საკომისიო შემოსავალი	68,607	18,789	3,192	-	90,588
წმინდა სავალუტო შემოსულობა	21,988	11,942	6,575	-	40,505
წმინდა სხვა შემოსავალი	17,288	32,584	(185)	(104)	49,583
საოპერაციო შემოსავალი	**381,975**	**205,219**	**27,681**	**(93)**	**614,782**
საოპერაციო დანახარჯები	(155,111)	(33,488)	(17,997)	93	(206,503)
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	(4,132)	-	-	-	(4,132)
საოპერაციო შემოსავალი რისკის ღირებულების განსაზღვრამდე	**222,732**	**171,731**	**9,684**	**-**	**404,147**
რისკის ღირებულება	(40,516)	41,030	305	-	819
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე	**182,216**	**212,761**	**9,989**	**-**	**404,966**
